ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 11

2022 წელი 5 აგვისტო

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2022 წლის 5 აგვისტოს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე სიმონ ჭოლოკავა, მურად ბურჯანაძე, გვანცა გრძელიძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, გურამ ჩხეიძე, ზვიად გუმბერიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ნინო კვირიკაძე, ირაკლი გოგსაძე, მაკა მესხი, შადიმან გორგოძე, მაია კბილაშვილი, ვლადიმერ წიქორიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე.

სულ: 24 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ზაზა ზივზივაძე, ჯუმბერ რობაქიძე, შალვა მშვილდაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

თამთა ჯიხვაძე- საქართველოს პარლამენტის წერის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე რომელმაც საკრებულოს სხდომას წარუდგინა დღის წესრიგის საკითხები.

დღის წესრიგი

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 24 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა: ლერი გუმბერიძემ- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ წიქორიძემ, მაკა მესხმა, გურამი კიკნაველიძემ, ნოდარი გიორგიძემ.
მაკა მესხი - საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, აღნიშნა, რომ „მეორე ობჩაში მიმდინარეობს 9 კმ გზის რეაბილიტაცია, იგება რკინა ბეტონის გზა და 500 მეტრი რჩება ლაღიძის სახელობის საჯარო სკოლამდე და რომ მუნიციპალიტეტის მერიამ სამომავლოდ იზრუნოს ამ გზის შეკეთებაზე“.
ვლადიმერ წიქორიძე - საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, იგი დაინტერესდა ა.ა.ი.პ. „ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის დაფინანსებით, ასევე დასუფთავებაზე მომუშავე მუშების ხელფასების გაზრდაზე.
ლ. გუმბერიძემ უპასუხა მ. მესხისა და ვ. წიქორიძის მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილვის თაობაზე ინფორმაცია საკრებულოს სხდომას მიაწოდა, ამავე კომისიის თავმჯდომარემ-მურად ბურჯანაძემ.
საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 13 დადგენილება:დ-67.672217001 თარიღი: 05/08/2022 (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**